4207/4-9/22 2 13052022

4207/4-9/22
13-05-2022

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს

ბატონ გოგიტა თოდრაძეს

ბატონო გოგიტა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში, რაჭა ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მხარეში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, იმერეთის მხარეში, გურიის მხარეში, შიდა ქართლის მხარეში, ქვემო ქართლის მხარეში და კახეთის მხარეში მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებების:

- 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები
- 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები
- 2014 წლიდან დღემდე დემოგრაფიული მონაცემების ცვლილება მუნიციპალიტეტების მიხედვით;

2. 2014 წლიდან დღემდე, 1-ლ პუნქტში მითითებულ დასახლებებში, მოსახლეობის საერთო რაოდენობა (შობადობის, გარდაცვალების, ქორწინებების მითითებით);
3. შიდა და გარე მიგრაცია წლების მიხედვით, 2014 წლიდან დღემდე.;
4. სრულიად გაუკაცრიელებული და ნახევრად გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა წლების მიხედვით, 2014 წლიდან დღემდე.;
5. 2014 წლიდან დღემდე დამუშავებული მიწების რაოდენობა (ჰექტრებით);
6. დასაქმების დინამიკა, პროცენტული მაჩვენებელი, მაღალმთიანი დასახლებების საწარმოთა რაოდენობა, წლების მიხედვით, 2014 წლიდან დღემდე.
7. მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების ცვლილების მაჩვენებელი პროცენტულად; (ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მუნიციპლიტეტების/რეგიონების მიხედვით)
8. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია მაღალმთიან დასახლებაში ერთი, ორი, სამი და მეტ ბავშვიანი ოჯახების რაოდენობა? გთხოვთ მოგვაწოდოთ რა რაოდენობის

ფულად დახმარებას გასცემს სახელმწიფო ამ ოჯახებისთვის. გთხოვთ მოგვაწოდოთ 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური 100 ლარიანი და 200 ლარიანი ფულადი დახმარებების საერთო რაოდენობა?(გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ რა რაოდენობის ოჯახი ღებულობს 100 ლარიან დახმარება და რა რაოდენობის ოჯახი ღებულობს 200 ლარიან დახმარებას);

9. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია წლების მიხედვით, შიდა მიგრაციული მონაცემები ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებზე, განსაკუთრებით უკუმიგრანტების რაოდენობა 2014 წლიდან დღემდე;

და სხვა სტატისტიკური ინფორმაცია, რისი მოწოდებაც შეგიძლიათ ამ დასახლებებთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
სოზარ სუბარი